




# ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №100

2016 წლის 3 ოქტომბერი  
ხაშური



„ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის მიერ 2016 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით გაწეული სამუშაოების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შეფასების თაობაზე“

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის და 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შეფასდეს დადებითად ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარმოდგენილი ანგარიში „ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის მიერ 2016 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით გაწეული სამუშაოების შესახებ“ (დანართი N1 თან ერთვის 1 ფურცლად).
2. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე [www.khashuri.org.ge](http://www.khashuri.org.ge) გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს ხაშურის რაიონულ სასამართლოში სარჩელის წარდგენის გზით მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში (მისამართი: ხაშური, კოსტავას ქ. №15)

ხაშურის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე



ვაჟა შუბითიძე

# ა ნ გ ა რ ი შ ი

(ხაშურის მუნიციპალიტეტის იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის მიერ 2016 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 30 სექტემბრამდე გაწეული სამუშაოების შესახებ)

2016 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 26 სექტემბრამდე ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე განხორციელებული სამუშაოების შესახებ მოგახსენებთ შემდეგს:

2016 წლის 1 წლის იანვრიდან 2016 წლის 26 სექტემბრამდე სამოქალაქო, ადმინისტრაციული და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოების წესით სასამართლოში წარიმართა საქმეები, რომლებშიც ხაშურის მუნიციპალიტეტი წარმოდგენილი იყო როგორც მოსარჩელის, ასევე მოპასუხის სახით (მომზადებული იქნა სარჩელები, შესაგებლები და შუამდგომლობები). სამსახურის მიერ რიგი საქმეები გასაჩივრებული იქნა სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში (მომზადებული იქნა სააპელაციო და საკასაციო საჩივრები).

იურიდიული უზრუნველყოფის სამსახური ამზადებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტებს და წარადგენს მათ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში.

სამსახურის მიერ მუდმივად ხორციელდება მუნიციპალიტეტის ყველა სამსახურის მიერ მომზადებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების, ხელშეკრულებების, შემოსული კორესპონდენციის ვიზირება და პრობლემატურ საკითხებთან დაკავშირებით სამართლებრივი დასკვნების მომზადება.

სამსახურის მიერ მუდმივად ხდება მუნიციპალიტეტისათვის განცხადებით მომართულ მოქალაქეთათვის წერილობითი პასუხის გაცემა.

სამსახური ახორციელებს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების წესდებების შემუშავებას, კორექტირებას და მათში ცვლილებების შეტანას.

იურიდიული უზრუნველყოფის სამსახური აგრეთვე უზრუნველყოფს წარმომადგენლობას სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციებში.

2016 წლის მაისის თვეში ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ მოქალაქეთა დახმარების მიზნით მუშაობდა შესაბამისი კომისია, რომლის მუშაობის სამართლებრივი უზრუნველყოფა ხორციელდებოდა სამსახურის მიერ. ამასთან იურიდიული უზრუნველყოფის სამსახური ჩართულია მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილ ყველა კომისიის მუშაობაში და ახორციელებს სამართლებრივ უზრუნველყოფას.

2016 წლის 1 იანვრიდან 26 სექტემბრამდე მუნიციპალიტეტის მიერ ჩატარებული იქნა ხაშურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა ორი კონკურსი, სადაც იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ორგანიზებულ იქნა აღნიშნული კონკურსების წარმართვა.